საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2010 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში – სტუდენტური თვითმმართველობა) არის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით ფაკულტეტებზე არჩეულ სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო.
1.2. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება “უმაღლესი განათლების შესახებ”, საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით და წინამდებარე დებულებით.
1.3. სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის სისტემა, რომელიც, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს მის უფლებამოსილებას, როგორც უნივერსიტეტის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს.
1.4. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება ორ წელიწადში ერთხელ.
1.5. სტუდენტურ თვითმმართველობას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, აქვს საკუთარი ბეჭედი, შტამპი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში და დებულებით გათვალისწინებული სხვა ატრიბუტიკა.
1.6.სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება ამ დებულების შესაბამისად.
1.7. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში
1.8. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
1.9. თვითმმართველობის მისამართია: საქართველო, 0138, ქ. თბილისი, კოსტავას №77 სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი.

მუხლი 2. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

2.1. დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტის ყოველმხრივი დაცვა არასაუნივერსიტეტო ურთიერთობებში.
2.2. ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში.
2.3. დაეხმაროს სტუდენტებს მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში.
2.4. დახმარება გაუწიოს სტუდენტებს პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბების საქმეში.
2.5. დახმარება გაუწიოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სასწავლო პროცესის დახვეწაში.
2.6. ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში და მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პროცესში სტუდენტთა მონაწილეობა, ქართველ და არაქართველ სტუდენტებს შორის მჭიდრო ურთიერთობების დამყარება.
2.7. ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნებისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლებას; დახმარება გაუწიოს საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

2.8. შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა დასვენების, ყოფის, შრომითი მოღვაწეობის და სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება.

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება

3.1. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
ბ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;
გ) სასწავლო პროცესთან და მატერიალურ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს წყვეტს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე;
დ) ფაკულტეტის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად შეიმუშავებს წინადადებებს რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;
ე) პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას;
ვ) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;
ზ) თავისი მიზნების მისაღწევად ხელმძღვანელობს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.
3.2. სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია მე-3 მუხლში მითითებული მიზნების განსახორციელებლად, მოაწყოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები.
3.3.სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია განახორციელოს საქველმოქმედო საქმიანობა.
3.4. სტუდენტური თვითმმართველობა თანამშრომლობს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
3.5. სტუდენტურ თვითმმართველობას მუდმივი კავშირი აქვს საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტურ ორგანიზაციებსა და საერთაშორისო სტუდენტურ გაერთიანებებთან.

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრობა

4.1. სტუდენტური თვითმმართველობის წევრი შეიძლება იყოს ის სტუდენტი, რომელსაც საარჩევნო დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად აირჩევან სტუდენტურ თვითმმართველობაში.
4.2. სტუდენტური თვითმმართველობის სისტემაში შეიძლება არჩეული იქნენ მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტები.
4.3. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.
4.4. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) სტუდენტური პარლამენტის გადაწყვეტილებით, თუ იგი აღარ არის სტუდენტი და ექვსი თვის განმავლობაში არ აღუდგენია აღნიშნული სტატუსი;
გ) სტუდენტური პარლამენტის გადაწყვეტილებით, თუ იგი უხეშად დაარღვევს უნივერსიტეტის ან სტუდენტური თვითმმართველობის წესდებას;
დ) ქმედუუნაროდ გამოცხადების ან უგზო-უკლოდ დაკარგვის შემთხვევაში.

4.5. სტუდენტურ თვითმმართველობას შეიძლება ჰყავდეს საპატიო წევრი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის სტუდენტი და რომელზედაც არ ვრცელდება ამ დებულებით გათვალისწინებული ნორმები. საპატიო წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით.
4.6. თვითმმართველობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში თვითმმართველობის წევრი ხდება ის პირი, რომელმაც დააგროვა ხმათა მეტი, მაგრამ თვითმმართველობის წევრად არჩევისათვის არასაკმარისი რაოდენობა უკანასკნელ არჩევნებში. თანაბარი ხმების მქონე პირთაგან თვითმმართველობის წევრი შეირჩევა გამგეობის მიერ ჩატარებული წილისყრით. ახლად არჩეული თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს გამოკლებული წევრის უფლებამოსილების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. ასეთის არარსებობის შემთხვევაში სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტი უფლებამოსილია არჩევნებამდე აირჩიოს თვითმმართველობის წევრი.

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის წევრის უფლება – მოვალეობანი

5.1. თვითმმართველობის წევრი უფლებამოსილია:
ა) მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;
ბ) იქონიოს სათათბირო ხმის უფლება;
გ) წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;
დ) აირჩიოს და იყოს არჩეული თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;
ე) მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს და განახორციელოს ისინი;
ვ) მიიღოს ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ;
ზ) მიიღოს მხარდაჭერა სტუდენტური თვითმმართველობისაგან საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
თ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და დებულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
5.2. თვითმმართველობის წევრი ვალდებულია:
ა) შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;
ბ) დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;
გ) ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

მუხლი 6. სტუდენტური თვითმართველობის მართვის ორგანოები

სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:
ა) თვითმმართველობის წევრთა კრება;
ბ) სტუდენტური გამგეობა;
გ) თვითმმართველობის პრეზიდენტი;
დ) თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტები (აღმასრულებელი კომიტეტი);
ე) სარევიზიო კომისია.

მუხლი 7. სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება

7.1. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა წევრისაგან.
7.2. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება იკრიბება წელიწადში ერთხელ.
თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების ჩატარების თარიღის და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის წევრებს ეცნობება კრების ჩატარებამდე არა უგვიანეს ერთი კვირით ადრე.
7.3. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3.
7.4. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია:
ა) კრების შემადგენლობის უმრავლესობით აირჩიოს თვითმმართველობის პრეზიდენტი;
ბ) კრებაზე დამსწრეთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შეიტანოს ცვლილებები დებულებაში.
7.5. თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების რიგგარეშე მოწვევის უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს, სტუდენტური გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ს, ან თვითმმართველობის წევრთა 1/3-ს

მუხლი 8. სტუდენტური გამგეობა

8.1. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა სტუდენტური გამგეობა, რომელიც შედგება ფაკულტეტის თვითმმართველობის წევრების მიერ არჩეული დელეგატებისაგან, შემდეგი შესაბამისობით: თითოეული ფაკულტეტიდან ერთი წარმომადგენელი. მათი არჩევის წესს განსაზღვრავს გამგეობა. რომლის სხდომებსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი.
8.2. პარლამენტი განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს წლის განმავლობაში, საფაკულტეტო და აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს.
8.3. გამგეობის სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება გამგეობის რეგლამენტით.
8.4 სტუდენტური გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არა–ნაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-ი. რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეუძლია სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს.
8.5. სტუდენტური გამგეობა უფლებამოსილია:
ა) განსაზღვროს წლის პრიორიტეტები;
ბ) განიხილოს და საჭიროების შემთხვევაში დაამტკიცოს თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელი პროგრამები და პროექტები, რომელთაც მას წარუდგენენ თვითმმართველობის წევრები;
გ) საჭიროების შემთხვევაში პრეზიდენტის წარდგენით შექმნას დროებით კომისიები, რომლებიც თავის უფლებამოსილებას წყვეტენ საკითხის ამოწურვის შემდეგ;
დ) სრული შემადგენლობის მინიმუმ 1/3-ის წარდგინებით და 2/3-ის თანხმობით საკუთარი შემადგენლობიდან აირჩიოს თვითმმართველობის პრეზიდენტი.
ე) მიიღოს დებულება და შეიტანოს ცვლილებები წევრთა სრული შემადგენლობის 2/3-ის თანხმობით.
ვ) გამგეობა პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს და აუქმებს დეპარტამენტებს, რომელთა მუშაობასაც აკონტროლებს პრეზიდენტი.
ზ) წყვეტს სხვა საკითხებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

თ) სტუდენტური გამგეობა პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტში შემავალი დეპარტამენტების თავმჯდომარეების კანდიდატურებს;

8.6 სტუდენტური გამგეობა მთლიანი შემადგენლობის 2/3-ის გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის შემდგომი არჩევის, ფაკულტეტის საბჭოში თვითმართველობის წევრი სტუდენტების არჩევისა და სტუდენტური თვითმართველობის გამგეობის წევრების არჩევის წესის შესახებ.

მუხლი 9. სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

9.1. თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების მიერ 2 წლის ვადით, სტუდენტურ თვითმართველობაში არჩეულ დელეგატთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით ან სტუდენტური გამგეობის წევრთა მინიმუმ 1/3-ის წარდგინებითა და 2/3-ის თანხმობით.
9.2. თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს თვითმმართველობის წევრთა სრული შემადგენლობის მინიმუმ 1/4 ან გამგეობის წევრთა მინიმუმ 1/3-ის.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხუთი დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.
9.4. თვითმმართველობის პრეზიდენტი:
ა) წარმოადგენს თვითმმართველობას სტუ-ს ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე;
ბ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
გ) იწვევს სტუდენტური გამგეობის სხდომებს;
დ) სტუდენტურ გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურას;
ე) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას ორგანიზაციებთან, უწყებებთან, მესამე პირებთან ურთიერთობის დროს;
ვ) კვარტალში ერთხელ წარუდგენს სტუდენტურ გამგეობის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს;
ზ) იწვევს თვითმმართველობის წევრთა საერთო კრებას ;
თ) გამგეობის სხდომებისას კენჭისყრის დროს ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტი ხმის უფლება ენიჭება პრეზიდენტს;
9.5. პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადამდე შეწყდება:
ა) პირადი განცხადების საფუძველზე;
ბ) ქმედ–უუნაროდ გამოცხადების ან უგზო-უკლოდ დაკარგვის შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობის ან დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში, იმპიჩმენტის პროცედურით, რომლის დაწყებისათვის აუცილებელია სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატების სიითი შემადგენლობის 2/3-ის თანხმობა.
9.6. პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა იწყება პრეზიდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის ან ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევაში. იმპიჩმენტის დაწყების უფლება აქვს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრების სიითი შემადგენლობის 2/3-ს. აღნიშნულის შემდეგ იქმნება საიმპიჩმენტო დროებითი კომისია, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს გამოძიება და ერთი თვის მანძილზე წარუდგინოს სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრებას შესაბამისი დასკვნა, რომელსაც ასევე ეყრება კენჭი და ჩათვლიან მიღებულად, თუ მას მხარს დაუჭერს სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა საერთო კრების სიითი შემადგენლობის 3/4.

9.7. პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში მისი უფლებამოსილება ავტომატურად გადაეცემა იმ ვიცე-პრეზიდენტს, რომელსაც აირჩევს გამგეობა ხმათა 2/3-ის თანხმობით.

ა) სტუდენტურ თვითმმართველობას, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობის ხელშეწყობის მიზნით, ჰყავს ვიცე-პრეზიდენტები და აღმასრულებელი კომიტეტი (დეპარტამენტები).

ბ) სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტების კანდიდატურებს.

გ) ვიცე-პრეზიდენტი დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სტუდენტური პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3.

დ) ვიცე-პრეზიდენტი ხელს უწყობს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების აღსრულებას, საუნივერსიტეტო საქმეების რეგულაციას სტუდენტთა ფართო კონტიგენტის კოორდინაციის გზით ;

ე) პრეზიდენტის თანხმობის შემთხვევაში, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, ვიცე-პრეზიდენტს აქვს უფლება ხელი მოაწეროს და გააფორმოს ფინანსური და იურიდიული დოკუმენტები.

ვ) ვიცე-პრეზიდენტების უფლებამოსილების შეწყვეტა შეუძლია გამგეობის სიითი შემადგენლობის 2/3-ს, თუ ამ საკითხს დააყენებს პრეზიდენტი.

მუხლი 10. აღმასრულებელი კომიტეტი და დეპარტამენტები

10.1. თვითმმართველობის მიზნების შესასრულებლად გამგეობის გადააწყვეტილებით იქმნება დეპარტამენტები.

10.2. დეპარტამენტების თავმჯდომარეების კანდიდატურებს წარადგენს თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხოლო ამტკიცებს სტუდენტური გამგეობა. გადაწყვეტილება მიიღება, თუ მას ხმა მისცა სტუდენტური გამგეობის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

10.3. დეპარტამენტების თავმჯდომარეები ქმნიან აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც ხელმძღვანელობს ვიცე-პრეზიდენტი.

10.4. აღმასრულებელი კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს დეპარტამენტების საერთო პოლიტიკას;

ბ) წარადგენს წინადადებებს კონკრეტული დეპარტამენტის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე;

გ) ისმენს დეპარტამენტების თავმჯდომარეების ყოველთვიურ ანგარიშს;

დ) წარუდგენს თვითმმართველობის პრეზიდენტს ყოველთვიურ ანგარიშს გაწეული საქმინობის შესახებ.

მუხლი 11. საფაკულტეტო სტუდენტური თვითმართველობა

11.1 საფაკულტეტო სტუდენტური თვითმმართველობა არის თვითმმართველობის შიდა ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც ფორმირდება სტუ-ს ფაკულტეტების ბაზაძე.

11.2 ფაკულტეტზე წევრთა სტუდენტური თვითმმართველობის კრება იწვევა ორ წელიწადში ერთხელ ან სტუდენტური თვითმმართველობის პარლამენტის გადაწყვეტილებით, რომელიც:

ა) ირჩევს სტუ-ს ფაკულტეტების სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარეებს და ფაკულტეტის წარმომადგენლებს სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობაში.

ბ) განიხილავს სტუდენტური ცხოვრების უმთავრეს საკითხებს.

11.3 ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ხელმძღვანელობას უწევს საფაკულტეტო სტუდენტურ თვითმმართველობას.

მუხლი 12. თვითმმართველობის ფინანსები და კონტროლი

თვითმმართველობის დაფინანსების წყაროებია:

ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან და სპეც-სახსრებიდან მიღებული შემოსავალი;
ბ) ნებაყოფლობითი შემოწირულობები;
გ) თვითმმართველობის ძირითადი და მიზნობრივი პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
დ) მესამე პირის მიერ გადმოცემული ქონება.

მუხლი 13. საკონსულტაციო საბჭო

თვითმმართველობის ამოცანების განხორციელების პროცესში თვითმმართველობის პრეზიდენტს, სტუდენტური გამგეობის უმრავლესობის თანხმობით, შეუძლია შექმნას საკონსულტაციო საბჭო. ასეთ ორგანოში შეიძლება გაერთიანდნენ ისინიც, ვინც არ არიან თვითმმართველობის წევრები.

მუხლი 14. სარევიზიო კომისია

13.1. თვითმართველობის პრეზიდენტის, გამგეობის, აღმასრულებელი კომიტეტის და დეპარტამენტების მიერ დანიშნული თანამდებობის პირების მიერ თვითმართველობის დებულების შესრულებისა და ფინანსური სახსრების თუ სხვა ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე კონტროლს ახორციელებს თვითმართველობის სარევიზიო კომისია.

13.2. სარევიზიო კომისია ასევე ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის საჯაროობა.

13.3. სარევიზიო კომისია შედგება შვიდი წევრისაგან.

13.4. სარევიზიო კომისიაში თითო-თითო წევრს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევენ ფაკულტეტები. ხოლო მეშვიდე წევრს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს სტუდენტური გამგეობა.

13.5. სარევიზიო კომისია თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს.

13.6. სარევიზიო კომისია არჩევიდან 10 დღის ვადაში საკუთარ წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარეს. სარევიზიო კომისია მუშაობს მის მიერ შემუშავებული დებულებით.